ბემბი

ილუსტრატორი
ბრაიონი მეი სმითი

სულაკაურის
გამომცემლობა



ბემბი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას დაიბადა შუაგულ ტყეში, სადაც მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. დედა ირემმა პატარას ნაზად აულოკა თეთრი ხალებით დაფარული ყავისფერი ბეწვი.

– რა ლამაზი ნუკრია! – ხეზე შემომჯდარმა კაჭკაჭმა მაშინვე მთელ ტყეს ამცნო ეს მშვენიერი ამბავი.

ბემბი მხიარულად დაკუნტრუშებდა დედასთან ახლოს, ცვრიან ბალახზე და ირგვლივ ყველაფერს აკვირდებოდა.

ერთ დღეს დედამ დაარიგა:

– საბალახოდ მდელოზე უნდა გავიდე, შენ კი აქ დამელოდე და ფეხი არ მოიცვალო. მალე დავბრუნდები.

დედა წავიდა. ტყეში სამარისებური სიჩუმე იდგა. ბემბი იცდიდა და შეშინებული აყურადებდა. ბოლოს ბღავილი მორთო.

– რატომ ბღავი? – მოესმა უცებ.

ბემბიმ უშველებელი ხარირემი დაინახა. ირემს უზარმაზარი, ძლიერი რქები ამშვენებდა.

– მარტო დარჩენის შეგეშინდა? – ჰკითხა ხარირემმა და გზა განაგრძო.

დედა ირემი ხშირად დადიოდა მდელოზე საბალახოდ, ბემბი კი ტყეში რჩებოდა, მაგრამ აღარ ბღაოდა. ძალიან უნდოდა, ერთხელ მაინც ენახა ხარირემს, როგორ გულადად უცდიდა დედას.



ბემბი იზრდებოდა და მისი ხალებიც
თანდათან უფერულდებოდა. ერთ დღესაც
დედამ მდელოზე გაიყოლა. ბემბიმ
კუნტრუშით მოირბინა მთელი მდელო.

მდელოზე უამრავი ირემი და
ნუკრი ბალახობდა. ბემბი ორ ნუკრს
დაუმეგობრდა – და-ძმას, ფელინსა
და გობოს. დედები ფრუტუნით
ადევნებდნენ თვალს პატარა ნუკრების
მხიარულ თამაშს. ხარირემიც იქვე იყო,
მაგრამ განზე იდგა.